განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამა
შპს "საქართველოს უნივერსიტეტი"

28.02.2019

25.03.2019

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს "საქართველოს უნივერსიტეტი"
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205037137
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	პოლიტიკის მეცნიერებები
განათლების საფეხური	საბაკალავრო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	პოლიტიკის მეცნიერებების ბაკალავრი 0702
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	არჩილ აბაშიძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირაკლი გორგილაძე, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თინათინ გაბრიჩიძე, შავი ზღვის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამა არსებობს 2006 წლიდან, ხოლო აკრედიტირებულ რეჟიმში პროგრამა ხორციელდება 2014 წლიდან. პროგრამა მიზნად ისახავს დარგის სპეციალისტების აღზრდას და მათი განათლების შემდგომი საფეხურისთავის მომზადებას, ასევე, ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ცოდნითა და უნარებით აღჭურვას. ამ მიზნით, სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ბაზაზე ფუნქციონირებს ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის ცენტრი და საერთაშორისო პოლიტიკისა ანალიტიკური ცენტრი, სადაც სტუდენტები ჩართული არიან კვლევით საქმიანობაში.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

საქართველოს უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა სკოლაში ვიზიტი შედგა წინასწარ შეთანხმებული გეგმის შესაბამისად. ჩატარდა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან (სატელეფონო ჩართვა), თვითშეფასების ჯგუფთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. აგრეთვე დამსაქმებლებთან. განხორციელდა ინფრასტრუქტურის (სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასი) დათვალიერება.

უნდა აღინიშნოს, რომ თვითშეფასების ანგარიში ნაკლებად ინფორმატიულია და არ მოიცავს სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებასა და აღწერას. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით ექსპერტთა ჯგუფისთვის არ იყო შესაძლებელი პროგრამის შესახებ სრულფასოვანი ინფორმაციის მიღება.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

მესამე კომპონენტში პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო დანარჩენ კომპონენტებში შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

  - რეკომენდებულია, პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების გამრავალფეროვნება, გამოკითხვების გარდა, პროგრამის შეფასებისთვის გამოყენებული უნდა იყოს პროგრამის სტატისტიკური მაჩვენებლების ანალიზი, ასევე, ლექციაზე დასწრება, ფოკუს-ჯგუფები, კოლეგიური შეფასება და სხვ.
  - პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობებში უნდა შედიოდეს სტუდენტთა კონსულტირება.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- შესაძლებელია კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროების ჩამონათვალში დაზუსტდეს, რომ კურსდამთავრებულები შეძლებენ ჩამოთვლილ ორგანიზაციებში დაბალ და საშუალო პოზიციებზე საქმიანობას და აღარ ჩამოიწეროს კონკრეტული პოზიციები.
- სასურველია პროგრამის მიზნების დახვეწა კომუნაკაციის უნარების ნაწილში.
- საჯარო დაწესებულებებში და სხვა შესაბამის ორგანიზაციებში სტუდენტთა პრაქტიკაზე მივლინების შესაძლებლობების გაფართოება
- სავალდებულო კურსების ჩამონათვალიდან საგნები: "ნაციონალიზმი და ეთნიკური კონფლიქტები", "რელიგია და პოლიტიკა" არ იძლევა შესაძლებლობებს კონკრეტული ცოდნა მიეწოდოს სტუდენტს, ის უფრო ზოგადი ხასიათისაა. ამიტომ, შესაძლოა გადანაცვლდეს არჩევით კურსებში.
- ცალკე საგნებად შეიძლება გამოიყოს და დაემატოს ძირითადი საგნების ბლოკს: "საჯარო პოლიტიკის საფუძვლები"; "პოლიტიკური ტექნოლოგიები ან/და პოლიტიკური მარკეტინგი";
- სასურველია სასწავლო პროგრამის არჩევით ბლოკში უფრო მეტად იყოს წარმოდგენილი პოლიტიკის მეცნიერების პროფილის სასწავლო კურსები, რომელიც მნიშვნელოვნად გააძლიერებს პოლიტიკის მეცნიერების კომპონენტის ხვედრით წონას. სასურველია, სამომავლოდ სკოლამ იმუშავოს პროგრამის არჩევითი კურსების გამრავალფეროვნებაზე. არსებულ ჩამონათვალს სასურველია დაემატოს საგნები:

1. სოციალური პოლიტიკა;
2. ჯანდაცვის პოლიტიკა;
3. ეკონომიკური პოლიტიკა;

- საგანს „გეოპოლიტიკა და სტრატეგიული კვლევები“ შეეცვალოს სახელი და დაერქვას "გეოპოლიტიკა"
- საგნების წინაპირობა სრულად აისახოს სასწავლო გეგმაშიც
- ინტერნაციონალიზაციის პროცესის გაღრმავების მიზნით აუცილებელია პროგრამა, მეტად ჩაერთოს საერთაშორისო პროცესებში, რაც უპირველ ყოვლისა სტუდენტთა გაცვლითი პროგრამებში ჩართვასა და ზოგადად, საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობას გულისხმობს რაც კიდევ უფრო განავითარებს სტუდენტების შესაძლებლობებს და მეტად ხარისხიანს გახდის საგანმანათლებლო პროგრამას.
- სასურველია, თუმცა, არა აუცილებელი, პროგრამის განვითარებისთვის გამოყენებულ იქნას კოლეგიური, ქართველი ან/და უცხოელის შეფასება, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის ხარისხის განვითარებას.

- სასურველია პროგრამის თვითშეფასების პროცესში სტუდენტ(ებ)ის, კურსდამთავრებულ(ებ)ის, დამსაქმებელის მეტად ჩართვა.
- თვითშეფასების ანგარიში უნდა იყოს ინფორმატიული და მოიცავდეს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებას აკრედიტაციის თითოეულ სტანდარტთან მიმართებით, შესაბამისი მტკიცებულებების და აღწერილობის გამოყენებით.

- სასწავლო კურსების სილაბუსებში განთავსდეს ინფორმაცია კონსულტაციების შესახებ, ასევე, კონსულტაციები მიმდინარეობდეს წინასწარგანსაზღვრული გრაფიკით, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ყველა სტუდენტისთვის.
- უნივერსიტეტმა შესთავაზოს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს პროფესიულ ზრდაზე გათვლილი კურსები, ტრენინგები.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

  სფეროში მოღვაწე იმ აკადემიური და მოწვეული პირების ჩართულობა, რომლებიც სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში მუშაობენ და თეორიულთან ერთად პრაქტიკული გამოცდილებას უზიარებენ სტუდენტებს

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

ინტერვიუების დრო გამოიკვეთა რომ პირველი აკრედიტაციის შემდგომ (2014) გადაიხედა სილაბუსები და პროგრამა აქცენტი გააკეთა რეგიონულ კონტექსტზე (უფრო სიღრმისეულად ისწავლება რუსეთის, თურქეთის პოლიტიკა). კომიისთვის რთული იყო აღნიშნული ცვლილების კონკრეტული საბუთის მოპოვება, თუმცა, სილაბუსებში არსებული თანამედროვე ლიტერატურა გვაძლევს წარმოდგენას პროგრამის შინაარსში ამ მიმართულებით მომხდარი ცვლილებების შესახებ.

მეორე ცვლილება გულისხმობდა მანამდე არსებული ყოველკვირეული, სავალდებულო ქვიზების გაუქმება და შეფასების სისტემის ლიბერალიზაცია. ლექტორებთანდ ასტუდენტთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ ცვლილებამ დადებითი შედეგი იქონია სტუდენტების ნაწილის მოტივაციაზე- გამოცდების შიშით სწავლის ნაცვლად, სტუდენტები მმათთვის უფრო მეტად საინტერესო საკითხების სწავლაზე არიან კონცენტრირებული.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის მიზნები თანხვედრაშია უნივერსიტეტის მისიასთან და გულისხმობს დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების აღზრდას, რომლებსაც გაცნობიერებული ექნებათ საზოგადეობის დემოკრატიულ განვითარებაში საკუთარი წვლილის მნიშვნელობა. უნივერსიტეტის ღირებულებები-თავისუფლება, ჰუმანურობა, სრულყოფილება-გაზიარებულია და ასახულია პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის მიზნებშიც. აღსანიშნავია, რომ პროგრამის მიზნებთან ერთად განსაზღვრულია კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები, როგორიცაა პოლიტიკური პარტიები, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები და ა.შ. აქვეა, კონკრეტული პოზიციების ჩამონათვალი, რომლებიც შეიძლება აღნიშნულ ორგანიზაციებში დაიკავონ კურსდამთვრებულებმა; რადგან ასეთი პოზიციების სრული ჩამონათვალის გაკეთება პრაქტიკულად შეუძლებელია, საკმარისია მხოლოდ ორგანიზაციების მითითება და აღნიშვნა, რომ ბაკალავრიატის კურსდამთავრებულებები შეძლებენ დაბალი და საშუალო რგოლის პოზიციებზე დასაქმებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პოლიტიკის მეცნიერებების პროგრამა • უნივერსიტეტის მისია • ინტერვიუები
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის შესაძლებელია კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროების ჩამონათვალში დაზუსტდეს, რომ კურდამთავრებულები შეძლებენ ჩამოთვლილ ორგანიზაციებში დაბალ

და საშუალო პოზიციებზე საქმიანობას და აღარ ჩამოიწეროს კონკრეტული პოზიციები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის სწავლის შედეგები დეტალურადაა გაწერილი რამდენიმე კომპონენტის მიხედვით- ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, დასკვნის უნარი, კომუნიკაციის უნარი, სწავლის უნარი და ღირებულებები. ცოდნის და გაცნობიერების ნაწილში პროგრამის შედეგები ლოგიკურ კავშირშია პროგრამის სასწავლო კურსების შინაარსთან. დასკვნის, სწავლის უნარები და ღირებულებებიც სწავლის დასრულების შემდეგ სტუდენტს ჩამოყალიბებული ექნება. კომუნიკაციის უნარები გარკვეულწილად გადამეტებულადაა შეფასებული და მოიცავს მაგ. "პოლიტიკურ რეალიზმსა და ძალთა თანასწორობაზე მსჯელობის უნარი", ან "ეთნოსის სტრუქტურაზე, იერარქიასა და პროცესებზე მსჯელობის უნარი". კომუნიკაციის უნარი უფრო სტუდენტის ცოდნის გადმოცემის უნარს გულისხმობს და არა კონკრეტული საკითხების ფორმულირების შესაძლებლობას. თუმცა, პროგრამა და მასში შესული წერითი და ზეპირი

კომპონენტები, ნამდვილად ანიჭებენ სტუდენტებს კომუნიკაციის უნარებს. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარების თვალსაზრისით სტუდენტის მიღწევები ფასდება საბაკალავრო ნაშრომის წარდგენისას, ასევე, კონკრეტული სასწავლო კურსების ფარგლებში არსებული დავალებების, კვლევების შესრულებისას. ასევე, შესაძლებელია ამ უნარების პროგრამაში სტუდენტების პრაქტიკაზე უფრო აქტიურად ჩაბმის საშუალებით განვითარება. აუცილებელი არ არის პრაქტიკა პროგრამის სავალდებულო ელემენტად იქცეს, თუნდაც იმიტომ, რომ ბევრი სტუდენტი დასაქებულია, მაგრამ, სტუდენტთა ნაწილმა გამოთქვა სურვილი მეტი პრაქტიკული კომპონენტის არსებობისა პროგრამაში. პროგრამის სწავლის შედეგების შემოწმება ხდება კურსდამთავრებულთა გამოკითხვით, სტუდენტების და ლექტორების რეგულარული გამოკითხვით, დამსაქმებელთა გამოკითხვით. გამოკითხვების შედეგები და მონაცემები ხდება განსჯის და ანალიზის საგანი სკოლის, განსაკუთრებით პროგრამის განვითარების საბჭოს დონეზე, რის შემდეგაც შესაძლებელი პროგრამის მიზნების კორექტირება. აუცილებელი წესით, აღნიშნული საბჭო იკრიბება ყოველ სემესტრში მინიმუმ ერთხელ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პოლიტიკის მეცნიერებების პროგრამა • სტუდენტების, ლექტორების, დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების გამოკითხვის კითხვარები • ინტერვიუები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია პროგრამის მიზნების დახვეწა კომუნაკაციის უნარების ნაწილში. • საჯარო დაწესებულებებში და სხვა შესაბამის ორგანიზაციებში სტუდენტთა პრაქტიკაზე მივლინების შესაძლებლობების გაფართოება
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერებების საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა შესაბამისობაში არის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ წესთან. პირს სტუდენტის სტატუსის მოპოვება შეუძლია ერთიანი ეროვნული გამოცდების შემდეგ. პრიორიტეტი ენიჭება ინგლისურ ენას. პროგრამის დეტალების აღწერით, სტუდენტი იწყებს ინგლისურ ენას იმ ეტაპიდან, რომელიც შეესაბამება მის ცოდნას, რაც დგინდება ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული შეფასებით. სასწავლო გეგმის მიხედვით I სასწავლო წლის პირველ სემესტრში, სკოლის ძირითად საგანთა

ჩამონათვალში მითითებულია ინგლისური ენა IV (B1/2). ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი ვერ დაადასტურებს შესაბამის დონეს, მას შეეთავაზება არჩევითი ინგლისური ენა I (A1).

საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია გამოცდილი და კვალიფიცირებული აკადემიური და მოწვეული სპეციალისტების არსებობა. ამ კუთხით საქართველოს უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერ მხარეს წარმოადგენს სფეროში მოღვაწე იმ აკადემიური და მოწვეული პირების ჩართულობა, რომლებიც სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში მუშაობენ და თეორიულთან ერთად პრაქტიკული გამოცდილებას უზიარებენ სტუდენტებს;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი
- პოლიტიკის მეცნირებების პროგრამა
- ინტერვიუები
- აკრედიტაციის მაძიებელი სუბიექტის მიერ დამატებით წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაცია

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

სფეროში მოღვაწე იმ აკადემიური და მოწვეული პირების ჩართულობა, რომლებიც სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში მუშაობენ და თეორიულთან ერთად პრაქტიკული გამოცდილებას უზიარებენ სტუდენტებს;

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი კომპონენტები მოიცავს: საუნივერსიტეტო ძირითად საგნებს 24 კრედიტი; სპეციალობის საგნებს 144 კრედიტი და საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას პოლიტიკის მეცნიერებაში 18 კრედიტი. 72 კრედიტი კი პროგრამის ასარჩევი, სკოლის ასარჩევი, თავისუფალი კრედიტებით ან დამატებითი სპეციალობის არჩევის საფუძველზე.

პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით, თუმცა, ამავე დროს, ამ მიმართულებით გვაქვს კონკრეტული რჩევები. კერძოდ, პროგრამის მიზნების სრულფასოვნად მისაღწევად მნიშვნელოვანი იქნება ძირითად (Major) კომპონენტს დაემატოს დარგისთვის მნიშვნელოვანი რამდენიმე კურსი, რათა უკეთ მოხდეს პროფესიული უნარების გამომუშავება. ასევე პროგრამის ძირითადი კურსებიდან მოხდეს კონკრეტული კურსის არჩევით ბლოკში გადმოტანა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სავალდებულო კურსების ჩამონათვალიდან საგნები: ნაციონალიზმი და ეთნიკური კონფლიქტები, რელიგია და პოლიტიკა არ იძლევა შესაძლებლობებს კონკრეტული ცოდნა მიეწოდოს სტუდენტს, ის უფრო ზოგადი ხასიათისაა. ამიტომ გადანაცვლდეს არჩევით კურსებში.
- ცალკე საგნებად შეიძლება გამოიყოს და დაემატოს ძირითადი საგნების ბლოკს: "საჯარო პოლიტიკის საფუძვლები"; "პოლიტიკური ტექნოლოგიები ან/და

პოლიტიკური მარკეტინგი"; • სასურველია სასწავლო პროგრამის არჩევით ბლოკში უფრო მეტად იყოს წარმოდგენილი პოლიტიკის მეცნიერების პროფილის სასწავლო კურსები, რომელიც მნიშვნელოვნად გაამლიერებს პოლიტიკის მეცნიერების კომპონენტის ხვედრით წონას. სასურველია, სამომავლოდ სკოლამ იმუშავოს პროგრამის არჩევითი კურსების გამრავალფეროვნებაზე. არსებულ ჩამონათვალს სასურველია დაემატოს საგნები: 1. სოციალური პოლიტიკა; 2. ჯანდაცვის პოლიტიკა 3. ეკონომიკური პოლიტიკა;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა მოცემული კონფიგურაციით მეტ-ნაკლები პროპორციით არის წარმოდგენილი. პოლიტიკის მეცნიერების მიმართულებით აშკარად სჭარბობს საერთაშორისო ურთიერთობების პროფილის საგანმანათლებლო კურსები. ამასთან ზოგიერთი საგანი (გეოპოლიტიკა და სტრატეგიული კვლევები) საკუთრივ საგნის სახელწოდებიდან გამომდინარე ვფიქრობთ, მაგისტრატურის საფეხურზე უნდა იკითხებოდეს. ბაკალავრიატში შესაძლებელია ის წარმოდგენილი იქნას მხოლოდ გეოპოლიტიკის ან გეოპოლიტიკის საფუძვლების სახით. კონკრეტული კვლევები (სტრატეგიული) დარგში მიღწევადია მაგისტრატურის საფეხურზე.

ზოგ შემთხვევაში დარღვეულია წინაპირობის პრინციპი ან შეცდომით არის წარმოდგენილი. მაგალითად, სასწავლო კურსის ავტორს წინაპირობაში მითითებული აქვს საგანი, რომელიც სასწავლო გეგმაში საერთოდ არ იძებნება (საჯარო პოლიტიკის ანალიზის წინაპირობაა საჯარო ადმინისტრირების საფუძვლები, რაც პროგრამაში არ იძებნება) საგანმანათლებლო პროგრამის თანდართულ მასალებში არ იძებნება საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი
- სასწავლო პროგრამა
- საგანმანათლებო პროგრამის სილაბუსები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- საგანს „გეოპოლიტიკა და სტრატეგიული კვლევები“ შეეცვალოს სახელი და დაერქვას "გეოპოლიტიკა"
  სასურველია საგნების წინაპირობა სრულად აისახოს სასწავლო გეგმაშიც

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

[x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების დოკუმენტით და ინტერვიუებით ირკვევა, რომ პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სკოლის მიერ უზრუნველყოფილია სტუდენტთა კვლევითი უნარების გამომუშავება მათი სხვადასხვა პროექტებში ჩართვით. ასევე უნივერსიტეტის ბაზაზე ფუნქციონირებს ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის და საერთაშორისო პოლიტიკის ანალიტიკური ცენტრი, სადაც სტუდენტები მუშაობენ სხვადასხვა ანალიტიკურ და კვლევით პროექტზე. თუმცა მტკიცებულებები თვითშეფასების დოკუმენტში კვლევითი პროექტების (შესრულებული/მოქმედი) შესახებ არ არის წარმოდგენილი რაც ფორმალური ხასიათის შესახებ გონივრულ ეჭვს ბადებს. თვითშეფასების ანგარიშში მოცემული მტკიცებულებებით ვლინდება, რომ პროგრამა სუსტად უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას და მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. Erasmus + - ის ფარგლებში საერთაშორისო გაცვლით პროექტებში მონაწილეობის უზრუნველყოფა სათანადოდ ვერ ხორციელდება, ხოლო საერთაშორისო პოლიტიკის ანალიტიკური ცენტრის ვებ-გვერდზე http://acip.ug.edu.ge სათანადოდ არ ჩანს სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი პროექტებში ჩართულობა და განხორციელება, ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის ცენტრის კარგი ბაზის არსებობა დასტურდება თუმცა განხორციელებული კვლევის შედეგების დადასტურება ვერ მოხერხდა. რაც შეეხება თანამშრომლობის მემორანდუმებს, ისინი მართალია ქმნის კარგ საფუძველს სხვადსხვა აქტივობების განხორციელებისთვის თუმცა თანამშრომლობის კონკრეტული შედეგების დადასტურება სამწუხაროდ ვერ ხერხდება. სამომავლოდ შესაძლებელია ყველა ზემოთ აღნიშნული ბაზა და სამრთლებრივი საფუძველი ქმნიდეს სტუდენტთა პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარების და მათ კვლევით პროექტებში ჩართვის შესაძლებლობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ანალიტიკური ცენტრის ვებგვერდი • ინტერვიუები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

ინტერნაციონალიზაციის პროცესის გაღრმავების მიზნით აუცილებელია პროგრამა, მეტად ჩაერთოს საერთაშორისო პროცესებში, რაც პირველყოვლისა სტუდენტთა გაცვლითი პროგრამებში ჩართვასა და ზოგადად, საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობას გულისხმობს რაც კიდევ უფრო განავითარებს სტუდენტების შესაძლებლობებს და მეტად ხარისხიანს გახდის საგანმანათლებლო პროგრამას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტის მიერ თეორიული და პრაქტიკული მიმართულებით ცოდნის დაგროვების, კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების განვითარების მიზნით გამოიყენება სწავლის მეთოდები, რომელიც მოიცავს ინტერაქტიულ მეცადინეობებს, მცირე კვლევებს, პრობლემის დასმა და მათ

გადაჭრას, კრიტიკულ ანალიზს, დისკუსიას, დებატებს, პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული დავალებებს, შემთხვევის შესწავლა და ანალიზი (case study). თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით ლექცია/სემინარი ინტერაქტიურია და ემსახურება სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას და უზრუნველყოფს ამ კურსისთვის დასახული მიზნისა და შედეგების მიღწევას. საგანმანათლებლო პროგრამის სხვადასხვა კომპონენტების დეტალური ანალიზი გვიჩვენებს, რომ თითქმის ყველა სილაბუსში სწავლების მეთოდები სტანდარტული ან/და იდენტურია. მაშინ როცა თითოეული სასწავლო კურსის სპეციფიკა განსხვავებული მეთოდების გამოყენებას მოითხოვს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების დოკუმენტი • სასწავლო პროგრამა • საგანმანათლებო პროგრამის სილაბუსები • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ცოდნის შეფასება ხორციელდება მრავალკომპონენტიან სისტემით. კურიკულუმში შემავალი ყველა სალექციო კურსი შეფასების დადგენილ სისტემას იყენებს. პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტის შესაბამისად, სტუდენტის ცოდნა და უნარ-ჩვევები ფასდება როგორც უშუალოდ სწავლის პროცესში (შუალედური გამოცდები, საკონტროლო წერები, პრეზენტაციები), ასევე კურსის დამთავრების შემდეგ (დასკვნითი გამოცდები). შეფასების მეთოდებია - წერითი გამოცდა, ტესტი, პრეზენტაცია. შეფასების კომპონენტის განსაზღვრისას ყურადღება ექცევა საგნის სპეციფიკას.
პოლიტიკის მეცნიერების საგანმანათლებლო კურიკულუმში არსებული თითოეული სასწავლო კურსში ცოდნის შეფასება პირაპირ უკავშირდება სწავლის მიზანს, მისაღწევ შედეგებს და სწავლების სტრატეგიას. უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შეფასების კრიტერიუმების შესახებ სტუდენტები კარგად არიან ინფორმირებული. ასევე შეფასების პროცესიც გამჭვირვალეა და ყველასთვის ხელმისაწვდომი სქემით ხორციელდება. სტუდენტს საშუალება ეძლევა უკუგების მეშვეობით მიიღოს არგუმენტირებული დასაბუთება მიღებული შეფასების შესახებ. გარდა ამისა, სტუდენტს შესაძლებლობა გააჩნია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით აკონტროლოს ყოველკვირეულ აქტივობაში და შუალედურ გამოცდებში მიღებული შეფასებები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი
- სასწავლო პროგრამა
- საგანმანათლებო პროგრამის სილაბუსები
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ექსპერტთათვის წარმოდგენილ სასწავლო კურსების სილაბუსებში არ არის მითითებული ინფორმაცია კონსულტაციების დროსა და ადგილზე, არც რაიმე ჩანაწერი კონსულტაციების შესაძლებლობაზე. აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშზე თანდართულ დოკუმენტებში წარმოდგენილია პროგრამის ხელმძღვანელის, დეპარტამენტის უფროსის, სკოლის დირექტორისა და საკვალიფიკაციო ნაშრომების

ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობები. სტუდენტთა კონსულტირება, სამუშაო აღწერილობების მიხედვით, შედის სკოლის დირექტორის, ნაშრომის ხელმძღვანელისა და დეპარტამენტის უფროსის, მაგრამ არა პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობებში. პროგრამის ხელმძღვანელის უდიდესი როლიდან გამომდინარე, ექსპერტთა კორპუსი მიიჩნევს, რომ პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობებშიც ოფიციალურად უნდა იქნას გაწერილი სტუდენტთა კონსულტირება.

რადგან აკადემიური პერსონალის სამუშაო აღწერილობები არ ყოფილა ექსპერტებისთვის მიწოდებული, სტანდარტის ამ მოთხოვნასთან დაკავშირებით დასკვნის გასაკეთებლად ვხელმძღვანელობთ მათი დატვირთვის სქემით, რომელიც შემდეგნაირად არის გაწერილი:

- *კვირაში აკადემიური პერსონალის დატვირთვა ჯამურად 40 საათია, აქედან მაქსიმუმ 20 საათი ეთმობა ლექციების, პრაქტიკული მეცადინეობების და სტაჟირებების ჩატარებას, 10 საათი კი ეთმობა ლექციის მომზადებას, ქვიზების და გამოცდების მომზადება-შემოწმებას. ხოლო 10 საათი სამეცნიერო მუშაობას.*
- *მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა გულისხმობს კვირაში არაუმეტეს 40 საათს, რაც მოიცავს როგორც სალექციო/პრაქტიკის/სტაჟირების საათებს ასევე მის მომზადება-ჩატარებას, ქვიზების და გამოცდების მომზადება-შემოწმებას.*

შესაბამისად, აკადემიური და მოწეული პერსონალის ჩართულობა სტუდენტთა ინდივიდუალურ კონსულტაციებში დოკუმენტებზე დაყრდონით არ დასტურდება და აკადემიური/მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა არ ითვალისწინებს სტუდენტთა კონსულტირებას.

რაც შეეხება ინტერვიუს შედეგებს, სტუდენტებმა განაცხადეს, რომ იღებენ კონსულტაციებს, თუმცა, ინფორმაცია, თუ როგორ ხდება კონსულტაციების დაგეგმვა და ადმინისტრირება მათ ვერ მიაწოდეს ექსპერტებს. მათ მიერ ასევე არ დადასტურდა საკონსულტაციო ცხრილის (გრაფიკის) არსებობა, როგორც სტუდენტთა ინტერვიუების, ასევე შენობის დათვალიერების შემდეგ.

ინტერვიუების დროს დადასტურდა სტუდენტთათვის ხელმისაწვდომი სხვადასხვა ღონისძიებების შესაძლებლობები, როგორიცაა მაგალითად: სხვადასხვა კლუბების მხარდაჭერა, კარიერული სერვისები (მათ შორის, უფასო ტრენინგები და კონსულტაციები), აკადმიური აქტივობების სხვადასხვა სახის წახალისება. ასევე, აღსანიშნავია საინტერესო ინიციატივა კურსდამთავრებულთა მიერ ტუტორის ფუნქციის შესრულების პირველკურსელთათვის. თუმცა, ეს ინფორმაცია არ იყო ასახული არც აკრედიტაციის მაძიებლის თვითშეფასების ანგარიშში და არც მის თანდართულ დოკუმენტებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო კურსები სილაბუსები
- თვითშეფასების დოკუმენტი
- სამუშაო აღწერილობები
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთივის სქემა
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

- პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობებში უნდა შედიოდეს სტუდენტთა კონსულტირება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასწავლო კურსების სილაბუსებში განთავსდეს ინფორმაცია კონსულტაციების შესახებ, ასევე, კონსულტაციები მიმდინარეობდეს წინასწარგანსაზღვრული გრაფიკით, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ყველა სტუდენტისთვის.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის

მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		X		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის აკადემიური პერსონალი და ლექტორები გამოცდილი და მაღალი კვალიფიკაციის მქონე პირები არიან. პირადი საქმეები და სილაბუსები მოწმობს, რომ პროგრამის პედაგოგები სტუდრენტებს სწავლის შედეგების გამომუშავებაში და დაეხმარებიან და გაუწევენ სათანადო დახმარებას სწავლის ყველა ეტაპზე.

მაღალი კავილიკაცია გააჩნია პროგრამის ხელმძღვანელსაც, რომელსაც აქვს სოლიდური პედაგოგიური და სამეცნიერო სტაჟი. არის დარგის სპეციალისტი და აქვს საჯარო უწყებებში მუშაობის გამოცდილებაც, ბილეფელდის უნივერსიტეტის (გერმანია) დოქტორი.

აღსანიშნავია, რომ პროგრამაში საკმარისი რაოდენობის აკადემიური და მოწვეული ლექტორებია, რაც საშულებას იძლევა რომ ერთი და იგივე ლექტორმა არ წაიკითხოს რამდენიმე საგანი; სტუდენტი სხვადასხვა საგნებზე, სხვადასხვა ლექტორებს ხვდება.

სულ პროგრმაში ჩართულია 34 აკადემიური პერსონალი და მოწვეული 89 ლექტორი; ერთი უცხოელი ლექტორი.

სკოლის და შსაბამისად, პროგრამის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი სათანადო მხარდაჭერით უზრუნველყოფს პროგრამის სტუდენტებს და ლექტორებს სასწალო პროცესის ნებისმიერ ეტაპზე. მათი კომპეტენცია და რაოდენობა სრულიად

საკმარისია დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად. სულ 250 ადამიანი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები • პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაოს აღწერილობა • სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის დებულება • ინტერვიუები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა [redacted] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ

განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აკადემიური პერსონალის და მოწვეული ლექტორების შეფასება ხდება ყოველი სემესტრის ბოლოს. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა შეაფასონ ლექტორები ონლაინ სისტემაში. შედეგებს ანალიზს უკეთებს სკოლის და პროგრამის ადმინისტრაცია. საჭიროების შემთხვევაში (მაგ. თუ სტუდენტები აფიქსირებენ ნეგატიურ აზრს), ხდება შესაბამისი რეაგირება. ხდება ლექტორების კმაყოფილების კვლევაც, სადაც ლექტორი აფასებს მისი სალექციო კურსის სხვადასხვა კომპონენტების მიმართ დამოკიდებულებას -კურსის შინაარსი, ლიტერატურა, სწავლის მეთოდები. აღიშნული გამოკითხვები უნივერსიტეტის ხარისხის მართვის დეპარტამენტს აძლევს მონაცემებს, რომლის მიხედვით ხდება პროგრამის მდგომარეობის და საჭირობების შეფასება. ხდება აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის აღრიცხვა და წახლისება. ამისათვის, დანერგილია სამეცნიერო მიღწევების მატერიალური წახალისების სისტემა (მაგ. პრემია გამოქვეყნებული სტატიისათვის საერთაშორისო ჟურნალში). ყოველი მოწვეული ლექტორი სემესტრის დასაწყისში ეცნობა სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ტექნიკურ დეტალებს-ონლაინ სისტემა, შეფასების სისტემა, ურთიერთობა ადამიანური რესურსების დეპარტამენთან და ა.შ. ამ ეტაპზე არ არსებობს პედაგოგთა პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული ტრენინგები და კურსები. მაგრამ, როგორც სკოლის ადმინისტრაციამ ინტერვიუს დროს განაცხადა, უახლოეს მომავალში იგეგმება პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული ღომისძიებების დაწყება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია • სტუდენტების კმაყოფილები კვლევის ანგარიში • ლექტორების კმაყოფილების კლევის ანგარიში • სამუშაოს აღწერილობები (სკოლის დირექტორი, პროგრამის ხელძღვანელი) • ინტერვიუები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის უნივერსიტეტმა შესთავაზოს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს პროფესიულ ზრდაზე გათვლილი კურსები, ტრენინგები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მატერიალური წახალისება ჯილდო სამეცნიერო სფეროში მიღწევებისათვის, როგორიცაა მაგ. პუბლიკაცია.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- [x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სოციალურ მეცნიერებათა სკოლა და შესაბამისად, პოლიტიკურ მეცნიერებათა პროგრამა უზრუნველყოფილია საკმარისი და სათანადო ინფრასტრუქტურით: აუდიტორიები აღჭურვილია ტექნიკით (კომპიუტერი, პროექტორი); საკონფერენციო დარბაზი იძლევა ხალხმრავალი შეხვედრების, საჯარო ლექციების ჩატარების შესაძლებლობას.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ხელმწისაწვდომია დარგის თანამედროვე ლიტერატურა ქართულ და უცხოურ ენებზე. უნივერსიტეტის სამკითხველო დარბაზის გარდა, ლიტერატურის ნაწილი განთავსებულია ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის ცენტრში, ხოლო ნაწილი "სააკაშვილის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკაში". უნივერსიტეტს შესყიდული აქვს წვდომა რამდენიმე ელექტრონულ ბაზაზე (მაგ. JSTOR), რომლითაც სარგებლობენ სტუდენტები და აკადემიურ პერსონალი.

სკოლაში ფუნქციონირებს საერთაშორისო პოლიტიკის ანალიტიკური ცენტრი, რომლის საქმიანობაში ჩართული არიან სტუდენტები. ენების შესწავლის ცენტრი და

კომპიუტერული კლასები აღჭურვილია საკმარისი, თანამედროვე ტექნიკით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ბიბლიოთეკის კატალოგი • უნივერსიტეტის სამკითხველო დარბაზის, სააკაშვილის საპრეზინდეტო ბიბლიოთეკის, ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის ცენტრის დათვალიერება • გასაუბრება ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან • ინტერვიუები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა [x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სოციალურ მეცნიერებათა სკოლას აქვს თავისი ბიუჯეტი და უზრუნველყოფს პროგრამის გამართულ და უწყვეტ ფუნქციონირებას. პროგრამის ძირითადი ხარჯების დასაფარად (ეს არის მოწვეული პერსონალის და აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურება) პროგრამისთვის საკმარისი იქნება წელიწადში არანაკლებ 16 სტუდენტის მიღება. ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი პროგრამის ბიუჯეტით იფარება მოწვეული აკადემიური პერსონალის ანაზღაურება, აკადემიური პერსონალის ფიქსირებული სახელფასო ხარჯი და სხვა მიმდინარე ხარჯები (მაგ. საინვესტიციო ხარჯები) ისე, რომ პროგრამის განხორციელებას საფრთხე არ ემუქრება იმ შემთხვევაშიც თუ სტუდენტთა გარკვეული რაოდენობა სწავლას ვეღარ/აღარ აგრძლებს და მობილობით გადადის სხვა უნივერსიტეტში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამის ბიუჯეტი • ინტერვიუ სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანთან და პროგრამის ხელმძღვანელთან
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება პრინციპს -„დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“.

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისთვის უმეტესწილად გამოიყენება დაინტერესებული მხარეების კმაყოფილების კვლევები. ექსპერტები გაეცნენ სტუდენტთა, პერსონალის, დამსაქმებულების გამოკითხვებსა და მათ შედეგებს. მისასალმებელია, რომ შიდა კვლევებისთვის გამოყოფილია ადამიანური რესურსი (მკვლევარი) რომელიც ახდენს გამოკითხვების ადმინისტრირებასა და შედეგების ანალიზს. აღნიშნული მკვლევარი ასევე წარმოდგენილი იყო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფში.

თვითშეფასების ანგარიშში მოცემულია თვითშეფასების პროცესისა და ჯგუფის აღწერა. თვითშეფასების ჯგუფი შედგება ადმინისტრაციული პერსონალისგან, კერძოდ,

თვითშეფასების ანგარიშის მზადებაში მონაწილეობდნენ სკოლის დირექტორი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ჟურნალისტიკის და მასკომუნიკაციის დეპარტამენტის უფროსი, საქართველოს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ადმინისტრაცია. თვითშეფასების პროცესის აღწერისას ნახსენებია კონსულტაციები აკადემიურ პერსონალთან, თუმცა, ვფიქრობთ, რომ სასურველია თვითშეფასების პროცესში მათი მეტი ჩართულობა, კერძოდ, სამუშაო ჯგუფში წარმოდგენილი უნდა იყოს პროგრამის აკადემიური პერსონალი. ამასთან, თვითშეფასების ჯგუფში არ იყვნენ ჩართული სტუდენტ(ებ)ი, კურსდამთვრებულ(ებ)ი, ან დამსაქმებელი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ თვითშეფასების პროცესი იყო ნაკლებად თანამშრომლობითი და ჯგუფი უმეტესწილად ადმინისტრაციული პერსონალისგან შედგებოდა. აკადემიური პერსონალის თვითშეფასების პროცესში მეტი ჩართულობა გაზრდიდა მათ ინფორმირებულობას მიმდინარე პროცესებზე, რაც ნაკლებად დადსტურდა მათთან ინტერვიუს დროს. თვითშეფასების ანგარიში, ასევე, ნაკლებად ინფორმატიული იყო, ინტერვიუების მსვლელობისას თითოეულ სტანდარტთან მიმართებით, არაერთგზის გაიჟღერა იმ ინფორმაციამ, რაც სასურველი იქნებოდა ასახული ყოფილიყო თვითშეფასების ანგარიშში ან/და თანდართულ დოკუმენტაციაში. აღნიშნული საკითხიც, ვფიქრობთ, ნაწილობრივ თავიდან იქნებოდა აცილებული, თუკი თვითშეფასების პროცესი მეტად თანამშრომლობითი იქნებოდა.

რაც შეეხება პროგრამაში განხორციელებულ ცვლილებებს, ინტერვიუების მსვლელობისას, დასახელდა მხოლოდ ორი ცვლილება, რაც განიცადა პროგრამამ, კერძოდ ინტერვიუების დროს გამოიკვეთა რომ პირველი აკრედიტაციის შემდგომ (2014) გადაიხედა სილაბუსები და პროგრამა აქცენტი გააკეთა რეგიონულ კონტექსტზე (უფრო სიღრმისეულად ისწავლება რუსეთის, თურქეთის პოლიტიკა). კომიისთვის რთული იყო აღნიშნული ცვლილების კონკრეტული საბუთის მოპოვება, თუმცა, სილაბუსებში არსებული თანამედროვე ლიტერატურა გვაძლევს წარმოდგენას პროგრამის შინაარსში ამ მიმართულებით მომხდარი ცვლილებების შესახებ.

მეორე ცვლილება გულისხმობდა მანამდე არსებული ყოველკვირეული, სავალდებულო ქვიზების გაუქმებას და შეფასების სისტემის ლიბერალიზაციას. ლექტორებთან და სტუდენტებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ ცვლილებამ დადებითი შედეგი იქონია სტუდენტების ნაწილის მოტივაციაზე- გამოცდების შიშით სწავლის ნაცვლად, სტუდენტები მათთვის უფრო მეტად საინტერესო საკითხების სწავლაზე არიან კონცენტრირებული.

აღნიშნული ორი ცვლილების გარდა, რომელიც ბუნდოვანია, თუ რამდენად არის გამოწვეული შიდა ხარისხის შეფასების შედეგებით, პროგრამაში არ განხორციელებულა.

აქვე დავამატებთ, რომ პროგრამას ჰყავს დიდი რაოდენობის სტატუსშეწყვეტილი და გარე მობილობით გადასული სტუდენტები, თუმცა, ექსპერტთა კითხვაზე, თუ რა იყო ამის გამოწვევი მიზეზი და რამდენად მოხდა აღნიშნული პრობლემის კვლევა, ექსპერტთა კორპუსმა ცალსახა პასუხი ვერ მიიღო. აღნიშნული მაჩვენებელი, კვლევის გარეშე, არ იძლევა მის გამომწვევ მიზეზებზე ინფორმაციას, შესაბამისად, სათანადოდ უნდა იქნას გამოკვლეული ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.

ინტერვიუების დროს ასევე არ დადასტურდა თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის დროს გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად გადადგმული ნაბიჯები ან/და შემუშავებული გეგმის არსებობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- ხარისხის უწყვეტი შეფასების ინსტრუქცია.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამის თვითშეფასების პროცესში სტუდენტ(ებ)ის, კურსდამთავრებულ(ებ)ის, დამსაქმებელის ჩართვა.
- თვითშეფასების ანგარიში უნდა იყოს ინფორმატიული და მოიცავდეს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებას აკრედიტაციის თითოეულ სტანდარტთან მიმართებით, შესაბამისი მტკიცებულებების და აღწერილობის გამოყენებით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამა „პოლიტიკის მეცნიერებები“ იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს, კერძოდ კი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტების რეკომენდაციებს.პროგრამა აკრედიტებულია, ამჯამად კი წარდგენილია რეაკრედიტაციაზე სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში არ იყო ასახული, თუ რა ცვლილებები განიცადა პროგრამამ გარე ხარისხის შეფასების შედეგად, თუმცა, ინტერვიუების მსვლელობისას დადასტურდა გარე ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენება, ასევე მზაობა მათი გამოყენებისთვის.

სხვა სახის გარე შეფასება (მაგ. ადგილობრივი ან/და საერთაშორისო ექსპერტის/კოლეგის), პროგრამის განვითარებისთვის არ გამოყენებულა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, თუმცა, არააუცილებელი, პროგრამის განვითარებისთვის გამოყენებულ იქნას კოლეგიური, ქართველი ან/და უცხოელის შეფასება, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის ხარისხის განვითარებას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- [x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

როგორც აღინიშნა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სისტემატურად ხდება დაინტერესებულ პირთა გამოკითხვა და შედეგების ანალიზი. პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება პრინციპს დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე. რაც შეეხება სხვა პროგრამის შეფასების სხვა მექანიზმებს (მათ შორის, ფოკუს-ჯგუფებს, ლექციაზე დასწრებას, კოლეგიურ შეფასებას, პროგრამის დადარებას უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, პროგრამის რაოდენობრივი/სტატისტიკური მონაცემების ანალიზს - პროგრამაზე ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების, სტუდენტთა მობილობის, პროგრამის დასრულების, მათ შორის, განსაზღვრულ ვადაში და სხვ.), ისინი არ ყოფილა წარმოდგენილი თვითშეფასების თანდართულ დოკუმენტაციაში, ან/და აღწერილი თვითშეფასების დოკუმენტში. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, *„პროგრამის მონიტორინგის ფარგლებში ხორციელდება ყველა ჩართული მხარის კვლევა და შეფასება, შემდეგ ამ მონაცემების დამუშავება და შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად“.*

ასევე, არ დადასტურდა ზემოთხსენებული მექანიზმების გამოყენება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ინტერვიუების შედეგად. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ინტერვიუზე დაყრდნობით, პროგრამის პერიოდული შეფასების მექანზმს წარმოადგენს მხოლოდ დაინტერესებულ პირთა გამოკითხვები. ასევე, ტარდება შრომის ბაზრის კვლევა.

ექსპერტთათვის მიწოდებულ ხარისხის სრულყოფის ინსტრუქციაში, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გარდა, ასევე მხოლოდ კითხვარებია განსაზღვრული, როგორც პროგრამის ხარისხის განვითარების მექანიზმი.

ექსპერტთა აზრით, პროგრამის განვითარების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიღება მხოლოდ გამოკითხვების მეშვეობით არ არის შესაძლებელი და დაინტერესებულ პირთა

გამოკითხვა უნდა იყოს ერთ-ერთი, და არა ერთადერთი, პროგრამის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუმენტი. ვფიქრობთ, რომ სასურველია, პროგრამის განვითარების შეფასებისთვის მოხდეს მრავალფეროვანი მექანიზმების გამოყენება, მათ შორის, რაოდენობრივი მაჩვენებლების ანალიზის, როგორიცაა პროგრამის განსაზღვრულ ვადაში დასრულებისა და პროგრამიდან განთესვის მაჩვენებლის ანალიზი, რაც, ვფიქრობთ, აქტუალური საკითხია, როდესაც პროგრამას დიდი რაოდენობით სტატუსშეწყვეტილი და გარე მობილობით გადასული სტუდენტი ჰყავს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება, საჭიროა გამოყენებული მეთოდების გამრავალფეროვნება, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს პროგრამის შესახებ მრავალმხრივი ინფორმაციის მიღებასა და პროგრამის შემდგომ სრულყოფას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: რეკომენდებულია, პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების გამრავალფეროვნება, გამოკითხვების გარდა, პროგრამის შეფასებისთვის გამოყენებული უნდა იყოს პროგრამის სტატისტიკური მაჩვენებლების ანალიზი, ასევე, ლექციაზე დასწრება, ფოკუს-ჯგუფები, კოლეგიური შეფასება და სხვ.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: საქართველოს უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: პოლიტიკის მეცნიერებები

დასკვნის გვერდების რაოდენობა:

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		X		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა: არჩილ აბაშიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა: ირაკლი გორგილაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა: თინათინ გაბრიჩიძე